

გემბლინგის პრობლემის შესწავლა საქართველოს დევნილთა პოპულაციის  
ორ თემში

ლიკა ქუთელია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ადიქციის კვლევების (ადიქტოლოგიის) სამაგისტრო პროგრამა,

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიუღებელ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის წარმოდგენილი ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

ლიკა ქუთელია

26.06.2017

## აბსტრაქტი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი არის საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის ფულზე თამაშის (გემბლინგის) პრობლემის შესწავლის პირველი მცდელობა. მტკიცებულებების თანახმად, შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზით იძულებით გადაადგილებული პირები სტრესორთა მთელი რიგის ზემოქმედებას განიცდიან, რაც წარმოადგენს რისკ-ფაქტორებს დევნილთა თემში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების, მათ შორის, გემბლინგის პრობლემის განვითარებისთვის. კვლევებით დაასტურდება, რომ პრობლემური გემბლინგის სიმძიმე ასოცირებულია ტრავმული მოვლენების გამოცდილებასთან, როგორც ზოგად პოპულაციაში, ასევე იძულებით მიგრირებულ პირებში.

მოცემული კვლევის მიზანია საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა ორ თემში (კოდასა და შაუმიანის დასახლებებში) გემბლინგის პრობლემის საპილოტე შესწავლა. კვლევის საშუალებით შევეცადეთ პასუხი გაგვეცა შემდეგ კითხვებზე: რა ცოდნა და განწყობები არსებობს გემბლინგის ფენომენის მიმართ დევნილთა ორ დასახლებაში (1); გემბლინგის რა პატერნებია იქ გავრცელებული (2); რა რისკ-ფაქტორები უწყობს ხელს გემბლინგში ჩართვას და რა დამცავი ფაქტორები ამცირებს ამის ალბათობას (3).

კვლევაში გამოყენებული იყო თვისებრივი მეთოდები. კერძოდ, ჩატარდა გენდერული ნიშნით ჰომოგენური ორ-ორი ფოკუს ჯგუფი კოდასა და შაუმიანში მცხოვრებ 18-დან 45 წლამდე ქალებსა და მამაკაცებში; ასევე, ჩატარდა ინდივიდუალური ჩაღრმავებულ ინტერვიუები ამავე ორი თემის მაცხოვრებელ, გემბლინგის ქცევაში ჩართულ 9 მამაკაცთან (ფულზე მოთამაშე ქალების მოძიება ვერ მოხერხდა). კვლევითი პროექტის განხორციელების ეთიკური ნებართვა გასცა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის კვლევითი პროექტების ეთიკურობის დამდგენმა კომისიამ.

კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა შემდეგი:

- ორივე შესწავლილ თემში ცნობილია ფულზე თამაშის ფენომენი, ცირკულირებს ინფორმაცია ფულზე თამაშის პრაქტიკების შესახებ. ქალი რესპონდენტები

ყურადღებას ამახვილებდნენ გემბლინგის უფრო ნეგატიურ ასპექტებზე, მამაკაცები ნეგატიურ ასპექტებთან ერთად თამაშთან დაკავშირებულ ინსენტივებსა და ფულად მოგებაზეც საუბრობდნენ. ორივე სქესის რესპონდენტების მიერ გემბლინგი აღიქმება როგორც უფრო „კაცის საკეთებელი“ ვიდრე ქალისა;

- ორივე თემში თამაში როგორც გეოგრაფიულად, ასევე ფინანსურად, ადვილად ხელმისაწვდომია, როგორც ზრდასრულთათვის, ასევე არასრულწლოვანთათვის (რაც კანონით არის კარძალული, მაგრამ, როგორც კვლევიდან იკვეთება, ამ კანონის აღსრულების მექანიზმები არ არის უზრუნველყოფილი ორ შესწავლილ დევნილთა თემში). განსაკუთრებით გვარცელებულია წვრილ თანხებზე სამაგიდო თამაშები და სლოტ-აპარატები. კოდას თემში, სადაც შედარებით უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობაა, ადგილი აქვს, აგრეთვე, მარნეულისა და თბილისის კაზინოებში უფრო დიდ თანხებზე თამაშის პრაქტიკასაც.

- გემბლინგის ქცევაში ჩართვის რისკ-ფაქტორებად გამოიკვეთა: თამაშის ხელმისაწვდომობა, სიდუხჭირე, მოზარდებისა და ახალგაზრდების განვითარებისათვის ღარიბი გარემო და შემეცნებით-გასართობი ალტერნატივის არარსებობა, გემბლინგთან დაკავშირებულ რისკებზე არასაკმარისი ინფორმირებულობა, დაბოლოს - დევნილობის მძიმე გამოცდილებასთან დაკავშირებული პრობლემები.

- გემბლინგის ქცევაში ჩართვისაგან დამცავ ფაქტორებად გამოიკვეთა: ფინანსური დანაკარგის რისკის გაცნობიერება, დამატებითი (საოჯახო თუ სამსახურთან დაკავშირებული) პასუხისმგებლობების გაჩენა, „მნიშვნელოვანი სხვის“ ნეგატიური დამოკიდებულება მოთამაშის თამაშში ჩართულობის მიმართ.

მოცემული საპილოტე კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა ორიენტირები კვლევის შემდგომი გაგრძელებისათვის: კერძოდ, დევნილობის გამოცდილების (და შესაბამისი ტრავმული სტრესორების ზემოქმედების), ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებისა და გემბლინგის ქცევის კავშირის კვლევა დევნილთა პოპულაციაში. ასევე, საინტერესო იქნება საკითხის კვლევა გენდერული განსხვავებების კუთხით.

## **Abstract**

This thesis is the very first attempt to study a gambling problem among Internally Displaced People (IDP) in Georgia. According to the evidence, people displaced due to military conflict are exposed to the number of traumatic and less traumatic stressors, which creates a risk for development of mental health problems (including problem gambling). According to the existed evidence, problem gambling is associated with traumatic experience, both in IDP and non-IDP populations.

The aim of the study was to explore gambling problem in the two – Koda and Shaumiani IDP communities in Georgia. The following study questions was formulated: what are knowledge and attitudes around gambling problem in the targeted communities (1); which patterns of gambling are implied by the communities (2); which risk and protective factors play role in developing and preventing the problem among the targeted community members (3).

Qualitative methods were implied in the study, namely: two focus groups homogenous by gender were conducted in each community among men and women in the age range between 18 and 45; the individual in-depth interviews were conducted among 9 men/community members involved in gambling behavior. The ethical approval for the study was issued by the Ilia State university Faculty of Arts and Science Research Projects' Ethical Commission.

The study findings are as follows:

- The both communities' members are well aware of gambling practices. Women pay more attention to the possible negative consequences while men were talking about the incentives connected with gambling as well. The gambling behavior as such is perceived by both men and women as something “manish”, “not-for-ladies thing”;
- Gambling is easily accessible in the targeted communities both geographically and financially, not only for adults but to juveniles as well (gambling among juveniles is forbidden according to the Georgian legislation but there are no mechanisms for implementing the law in the communities). Out of variety of games, so called “table” cards games and slot machines are the most widespread in the two communities. As

for Koda community representatives (which is wealthier than Shaumiani) they use to go to Tbilisi and Marneuly regional center to play in proper Casinos;

- The risk factors for gambling behavior, based on the study, are as follows: easy access to gambling, poverty, poor developmental environment for juveniles and youth, absence of a proper developmental entertainment infrastructure, lack of awareness on the risks associated with gambling, and the need to cope with the experiences related to military conflict and displacement;
- As for protective factors, awareness on financial risks associated with gambling, negative attitude towards gambling from the side of important “other” as well as emerging additional responsibilities (towards family or job) were revealed as the most important ones.

The future research needs are revealed by this study, in particular: to further explore interrelationship between traumatic experience of displacement, mental health problems and gambling behavior. Would be also interesting to study gender related issues around gambling problem as well.

## მადლობა

მადლობას ვუხდით თემის ხელმძღვანელს, ქალბატონ დარეჯან ჯავახიშვილს კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისა და რეკომენდაციებისათვის. ასევე, მადლობას ვუხდით საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის (GAEN) დირექტორსა და თანამშრომლებს, ქსელის წევრი ორგანიზაციების - კოდის სათემო განათლების ცენტრის დირექტორსა და თანამშრომლებს, შაუმიანის სათემო განათლების ცენტრის ადმინისტრაციას კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთვის. ასევე, კოდსა და შაუმიანის დევენილთა დასახლებების მაცხოვრებლებს, რომლებმაც კვლევაში მონაწილეობა მიიღეს.